



საჯარო საბიუჯეტო სისტემა და პოლიტიკა

რეზიუმე

ლავა მურჯიკიანი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: E_gogokhia@mail.ru

საჯარო საბიუჯეტო პროცესი ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელსა და ეკონომიკური ძლიერების რეალურ მაჩვენებელს მახასიათებელს წარმოადგენს, ამიტომ საჭიროა საჯარო საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბებისა და განხორციელების ყველა ეტაპის გამჭვირვალობის საჯაროობა. სწორედ ამით არის ჩემი აზრით განპირობებული ფინანსური სისტემის განუყოფელი შემადგენელი ნაწილის, სახელმწიფო ბიუჯეტის „საჯარო ბიუჯეტის“ სახელწოდებით აღიარება და მხარდაჭერა. სახელმწიფო ბიუჯეტის საჯარო ხასიათს ჩემი აზრით განაპირობებს საკუთრების ტიპი და საჯაროების მასშტაბები.

თუ საბიუჯეტო ფულადი საშუალებების შექმნა, განაწილება და გამოყენება, დამოკიდებულია სახელმწიფო ფულად სახსრებზე, მაშინ ის სახელმწიფო საკუთრებაა, აქვს საჯარო ხასიათი და წარმოადგენს საჯარო ფულად სახსრებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ადგილობრივი ორგანიზაციების ფულადი სახსრების წარმოქმნას, განაწილებას და მოხმარების პროცესს, მაშინ ის წარმოადგენს ადგილობრივი ორგანიზაციების საკუთრების ფულად სახსრებს და საჯარო ხასიათი არა აქვს.

საერთოდ კი აუცილებელია, ისეთი საჯარო საბიუჯეტო სისტემის მექანიზმის შემუშავება და ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს ყველა შტოს, მონაწილეობა მიიღოს საჯარო საბიუჯეტო პროცესის წარმართვასა და განხორციელებაში.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური პროცესების რაციონალურად წარმართვის მნიშვნელოვან დონისძიებათა სისტემა და მისი ამოცანაა საჯარო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირება.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო რესურსების კონცენტრაცია ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებებზე. საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით სახელმწიფომ უნდა მოახდინოს პოზიტიური ზემოქმედება კვლავწარმოებით პროცესებზე, აღმოფხვრას ბაზრის სტიქიური ძალების მოქმედების შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგები. ამასთან, საჯარო ბიუჯეტი უნდა იყოს სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი.

ნებისმიერი ქვეყნის საჯარო ბიუჯეტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მეწარმეობის ყოველმხრივი ხელშეწყობის საფუძველზე სახელმწიფო და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელ პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფა. ამიტომ საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკა მიზანშეწონილია წარმართოს იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების მატებას იმ დონემდე, რაც მისცემს ქვეყანას იმის შესაძლებლობას, რომ დაფინანსდეს სახელმწიფო ხარჯების უმეტესობა.

საკვანძო სიტყვები: საჯარო, საჯარო ბიუჯეტი, საბიუჯეტო სისტემა, საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკა, სტაბილიზაცია, საგადასახადო, ეკონომიკური ეფექტიანობა, საჯარო საფინანსო პოლიტიკა, დავალიანება, ბიუჯეტის დეფიციტი.

საჯარო ბიუჯეტი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების მიღწევის განხორციელების ფინანსური შესაძლებლობის საფუძველს. აქედან გამომდინარე იგი უზენაეს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს. საჯარო ბიუჯეტი პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რადგან ფინანსურად მასზე არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგის განვითარება.

საჯარო საბიუჯეტო პროცესი ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელსა და ეკონომიკური ძლიერების რეალურ მაჩვენებელს მახასიათებელს წარმოადგენს, ამიტომ საჭიროა საჯარო საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბებისა და განხორციელების ყველა ეტაპის გამჭვირვალობის საჯაროობა. სწორედ ამიტომ ჩემი აზრით განპირობებული ფინანსური სისტე-



მის განუყოფელი შემადგენელი ნაწილის, სახელმწიფო ბიუჯეტის „საჯარო ბიუჯეტის“ სახელწოდებით აღიარება და მხარდაჭერა. სახელმწიფო ბიუჯეტის საჯარო ხასიათს ჩემი აზრით განაპირობებს საკუთრების ტიპი და საჯარობის მასშტაბები.

თუ საბიუჯეტო ფულადი საშუალებების შექმნა, განაწილება და გამოყენება, დამოკიდებულია სახელმწიფო ფულად სახსრებზე, მაშინ ის სახელმწიფო საკუთრებაა, აქვს საჯარო ხასიათი და წარმოადგენს საჯარო ფულად სახსრებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ადგილობრივი ორგანიზაციების ფულადი სახსრების წარმოქმნას, განაწილებას და მოხმარების პროცესს, მაშინ ის წარმოადგენს ადგილობრივი ორგანიზაციების საკუთრების ფულად სახსრებს და საჯარო ხასიათი არ აქვს.

საერთოდ კი აუცილებელია, ისეთი საჯარო საბიუჯეტო სისტემის მექანიზმის შემუშავება და ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს ყველა შტოს, მონაწილეობა მიიღოს საჯარო საბიუჯეტო პროცესის წარმართვასა და განხორციელებაში.

საჯარო საბიუჯეტო პროცესი, საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია, სადაც მიმდინარეობს პირველადი საბიუჯეტო სისტემის (ფინანსთა სამინისტროს) თანამშრომელთა საქმიანობა, რომელიც რეგულირდება ბიუჯეტის შესახებ კანონით და კოდექსის შესაბამისად წარმოებს ქვეყნის რესპუბლიკური, ავტონომიური და ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტების ჩამოყალიბების ყველა ეტაპის გავლით მომზადება, მათი შემდგომ მთავრობაში წარსადგენად. საჯარო ბიუჯეტს, როგორც ქვეყნის მთავარ საფინანსო გეგმას ამტკიცებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი ხმათა უმრავლესობით.

საჯარო ბიუჯეტში, როგორც ქვეყნის განვითარების ძირითად საფინანსო გეგმაში, ასახული უნდა იყოს ქვეყნის შემოსავლების და გასავლის რეალური სურათი, ჰქონდეს სრულყოფილი გამჭვირვალობა, გამოკვეთილი იყოს ყველა ანგარიშვალდებულთა პასუხისმგებლობა, დაცული იყოს კლასიფიკაციის შესაბამისად აღრიცხვის ერთიანი სისტემა, დაფიქსირებული უნდა იყოს ყველა შემოსავლის მიმართვის მიზნობრივი დანიშნულებით დაფინანსება, ყველა დონის ბიუჯეტის შემოსულობის სახელმწიფო ხაზინის წინაშე ერთიანი ანგარიშის სისტემა, რეალური ქმედებისას დაცული იყოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ნორმები.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკა სახელმწიფო

ფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ნაწილია და გულისხმობს სახელმწიფოს ფინანსური რესურსების გამოყენების, შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირების, საჯარო ბიუჯეტის შედგენასა და აღსრულების, საგადასახდლო ბალანსის რეგულირებას, ფულის მიმოქცევის მართვის, ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსზე ზემოქმედების, ინფლაციური პროცესების მართვის ღონისძიებებსა და განხორციელებას და მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოების წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისაკენ.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური პროცესების რაციონალურად წარმართვის მნიშვნელოვან ღონისძიებათა სისტემა და მისი ამოცანაა საჯარო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირება.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანაა წარმოების სტაბილიზაცია და ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების პირობების უზრუნველყოფა. ამისათვის კი საჭიროა ხელსაყრელი გარემოს შექმნა და განმტკიცება, ფინანსური სტაბილიზაცია, შედგავთიანი საგადასახადო რეჟიმის გამოყენება, განსაკუთრებით, მოგების დაბეგვრისას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის სტიმულირება, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება და ა.შ.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო რესურსების კონცენტრაცია ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებებზე. საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

საჯარო ბიუჯეტის განსაკუთრებული ამოცანაა საკუთარი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს ვალდებულებათა, მის რესურსულ შესაძლებლობებთან შესაბამისობაში მოყვანა, უდფიციტო ბიუჯეტის შენარჩუნება, ჭარბი ვალდებულებების შემცირება და რესტრუქტურისაცია, დაუსაბუთებელი სუბსიდიების გაუქმება, რომლებიც ბაზარზე ქმნიან არათანაბარი, არაჯანსაღი კონკურენციის პირობებს.

ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების პირობების შექმნისათვის საჭიროა საჯარო ბიუჯეტის მენეჯმენტის შესაბამისი სისტემის შემუშავება. ამ მიმართულებით საჭიროა საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა და სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირების ხარჯების შემცირება, საჯარო საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე



უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების დაბალანსება, სახელმწიფო ვალისა და აქტივების მიზანმიმართული მენეჯმენტი.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით სახელმწიფომ უნდა მოახდინოს პოზიტიური ზემოქმედება კვლავწარმოებით პროცესებზე, აღმოფხვრას ბაზრის სტიქიური ძალების მოქმედების შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგები. ამასთან, საჯარო ბიუჯეტი უნდა იყოს სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის ამოცანებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურულ გადაწყობას საჯარო სახელმწიფო სახსრების გამოყენებით და პრეფერენციული საბიუჯეტო მექანიზმის დანერგვით.

საბიუჯეტო სისტემა არის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა.

ქვეყნის საჯარო საბიუჯეტო მოწყობა განისაზღვრება სახელმწიფო პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობიდან გამომდინარე, თითოეულ ცალკე აღებულ სახელმწიფოს გააჩნია თავისი საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაცია და მისი პრინციპები.

ნებისმიერი ქვეყნის საჯარო ბიუჯეტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მეწარმეობის ყოველმხრივი ხელშეწყობის საფუძველზე სახელმწიფო და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელ პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფა. ამიტომ საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკა მიზანშეწონილია წარიმართოს იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების მატებას იმ დონემდე, რაც მისცემს ქვეყანას იმის შესაძლებლობას, რომ დაფინანსდეს სახელმწიფო ხარჯების უმეტესობა. აუცილებელია, საჯარო ბიუჯეტის შედგენისას ძირითადი ყურადღება გამახვილდეს აქტიური და ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებაზე, რამაც თავისი გამოსატყულება უნდა ჰპოვოს სოციალურად ორიენტირებული საჯარო ბიუჯეტის კონცეფციისა და პარამეტრების შედგენაში.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ბიუჯეტიდან ხარჯების პრიორიტეტულობის დადგენა. ცხადია, სახელმწიფო საზოგადოებრივ-ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს ერთნაირად ვერ დააფინანსებს, რისთვისაც აუცილებელია მკაფიოდ განისაზღ-

როს, დასაბუთდეს და დამტკიცდეს იმ ხარჯების დაფინანსების პრიორიტეტულობა, რომელიც დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე უნდა გასწიოს სახელმწიფომ. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთი სფეროების დაფინანსებას, როგორიცაა ეკონომიკის სექტორი, სახელმწიფო თავდაცვა, სოციალური ინფრასტრუქტურის ღირებულებები, განათლება და მეცნიერება.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ცენტრალურ (ეროვნულ) და ტერიტორიულ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების სამართლიანი და ობიექტური განაწილება. ბიუჯეტის შედგენისას ცენტრალურ (ეროვნულ) და ტერიტორიულ ერთეულებს შორის შემოსავლების განაწილებას საფუძველად უნდა დაედოს ტერიტორიული ერთეულების მონაწილეობის ხარისხი, ამა თუ იმ სახის გადასახადისა და შემოსავლების ფორმირების საქმეში.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის წარმატებით გატარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია საჯარო ბიუჯეტის გრძელვადიანი სტრატეგიული პროგნოზირება. ყოველწლიური საჯარო ბიუჯეტის შედგენა და განხილვა უნდა მოხდეს ქვეყნის განვითარების ყველა დონეზე პერსპექტიული ფინანსური შესაძლებლობების მონაცემების გათვალისწინებით. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩამოყალიბებულ იქნეს საჯარო ფინანსური ფუნქციონირების პერსპექტიული მიმართულებები, რათა მიღწეულ იქნეს სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობისა და სტრუქტურის შესაბამისობა საერთო-სახელმწიფოებრივ და საერთო-ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე რეგიონულ დონეზე. დაგეგმვის ასეთი პრინციპების საფუძველზე უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შემოსავლების დინამიკის შეფასება და აქედან გამომდინარე, მოხდეს სახელმწიფო ხარჯების დასაშვები მასშტაბების განსაზღვრა.

საჯარო საფინანსო პოლიტიკის ტაქტიკური და სტრატეგიული ხასიათის ამოცანების მაქსიმალურად ეფექტიანი გადაჭრის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ზემოთ აღნიშნულ, სახელმწიფო ვალის მართვის და რეგულირების საკითხებს, რისთვისაც აუცილებელია შეიქმნას საგარეო და შიდა დავალიანებათა მენეჯმენტის ეფექტიანი მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ყველგან ვერ ხერხდება ვალის მომსახურებისა და მართვის მენეჯმენტის ცივილიზებული მეთოდების გამოყენება. საგარეო დავალიანების მენეჯმენტის მთავარი მიზანი უნდა იყოს სარგებლობის მიღწევა საგარეო დაფინანსებიდან, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა და გადახდის-



უნარიანობის შენარჩუნება. ამ მიზნის მისაღწევად ღრმად უნდა იქნეს გაანალიზებული ინვესტიციებს, ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო სესხებს შორის ურთიერთკავშირი, ხოლო შიდა ვალის მომსახურების და მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამისი, დახვეწილი საკანონმდებლო და მეთოდური ხასიათის დოკუმენტების შემუშავება.

საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა შემოსავლებისა და გასაღების რაციონალური ორგანიზაციის საფუძველზე დასაშვებ ზღვრამდე ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავებას და რეალურად განხორციელებას.

სამეცნიერო სტატიის ტექსტში გაშუქებული საკითხების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი სახის დასკვნა:

- საჯარო საბიუჯეტო პროცესი ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელსა და ეკონომიკური ძლიერების რეალურ მაჩვენებელ მახასიათებელს წარმოადგენს, ამიტომ საჭიროა საჯარო საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბებისა და გამჭვირვალობის ყველა ეტაპის საჯაროობა;

- სახელმწიფო ბიუჯეტის საჯარო ხასიათის

ათს განაპირობებს საკუთრების ტიპი და საჯაროობის მასშტაბები;

- თუ საბიუჯეტო ფულადი საშუალებების შექმნა, განაწილება და გამოყენება დამოკიდებულია სახელმწიფო ფულად სახსრებზე, მაშინ ის სახელმწიფო საკუთრებაა, აქვს საჯარო ხასიათი და წარმოადგენს საჯარო ფულად სახსრებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ადგილობრივი ორგანიზაციების ფულადი სახსრების წარმოქმნას, განაწილებასა და მოხმარების პროცესს, მაშინ ის წარმოადგენს ადგილობრივი ორგანიზაციების საკუთრების ფულად სახსრებს და საჯარო ხასიათი არა აქვს;

- საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკა არის ქვეყნის მაკროეკონომიკური პროცესების რაციონალურად წარმართვის მნიშვნელოვან ღონისძიებათა სისტემა და მისი ამოცანაა საჯარო ბიუჯეტის შემოსავლის ზრდისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;

- საჯარო საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით სახელმწიფომ უნდა მოახდინოს პოზიტიური ზემოქმედება კვლავწარმოებით პროცესებზე, აღმოფხვრას ბაზრის სტიქიური ძალების მოქმედების შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგები. ამასთან, საჯარო ბიუჯეტი უნდა იყოს სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი.

გამოყენებული ლიტერატურა

- როუზენი ს., საჯარო ფინანსები, ტომი I, თბ., 2006.
- როუზენი ს., საჯარო ფინანსები, ტომი II, თბ., 2006.
- ინგოროყვა ა., ცაავა გ., ფინანსური მენეჯმენტი, ტომი I, თბ., 2011.
- ინგოროყვა ა., ცაავა გ., ფინანსური მენეჯმენტი, ტომი II, თბ., 2011.
- კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა., საჯარო ფინანსები, თსუ, თბ., 2010.
- კაკულია რ., გაბელაშვილი კ., ფინანსების თეორია, ქუთაისის უნივერსიტეტი, 2012.
- მესხია ი., საერთაშორისო ფინანსები, თბ., 2012.
- მესხია ი., ჭიოტაშვილი დ., საჯარო ფინანსები, გადასახადები და ბიუჯეტი, თბ., 2012.
- ხანთაძე გ., ცაავა გ., საჯარო ფინანსები, თბ., 2013.

- ვანიშვილი მ., ნოზაძე ნ., ფინანსების თეორია, თბ., 2009.
- Боди З., Мертон Р. Финансы, Пер. с англ.: Учеб. пос. – М.: Издательский дом «Вильямс», 2000.
- Миляков Н.В. Финансы: Курс лекций. – М.: ИНФРА-М, 2007.
- Черник Д.Г. Налоги: учебное пособие. – М.: Финансы и статистика, 2005.
- Юткина Т.Ф. Налоги и налогообложение: Учебник. – М.: ИНФРА-М, 2008.
- Finance and the Good Society by Robert J. Shiller, 2012.
- Public Financial Management and Its Emerging Architecture by Marco Gangiano, Teresa Gurrustine and Michel Lazare, 2013.
- Public Finance: A Contemporary Application of Theory to Policy with Economic Applications by David N Hyman, 2004.



ПУБЛИЧНАЯ БЮДЖЕТНАЯ СИСТЕМА И ПОЛИТИКА

ЛАША МУРДЖИКНЕЛИ
докторант ГТУ
E-mail: E_gogokhia@mail.ru

Резюме

Публичный бюджетный процесс является реальным показателем определения демократичности и экономической мощности страны, поэтому нужна публичность прозрачности всех этапов осуществления и формирования публичной бюджетной системы. Именно этим, по моему мнению обусловлено признание и поддержка неотъемлемой части финансовой системы, государственного бюджета, наименованием «публичный бюджет». Публичный характер государственного бюджета обусловлен по моему мнению, типом собственности и масштабами публичности.

Если создание, распределение и использование денежных возможностей зависит от государственных денежных средств, тогда она государственная собственность, имеет публичный характер и является публичными денежными средствами, а в том случае, когда имеет место создание, распределение и использование денежных средств местных организаций, тогда она является денежными средствами местных организаций и публичного характера не имеет.

Вообще необходимо, разработка и создание такой публичной бюджетной системы, которая даст возможность всем отраслям государства, принять участие в управлении и осуществлении публичного бюджетного процесса.

Публичная бюджетная политика – это система важных событий рационального ведения макроэкономических процессов и ее задачей является стимулирование экономического развития и рост дохода публичного бюджета.

Важной задачей публичной бюджетной политики является концентрация финансово-бюджетных ресурсов государство на приоритетных направлений экономики страны. Публичная бюджетная политика имеет особое значение для экономического и социального развития страны в долгосрочном периоде.

С помощью публичной бюджетной политикой государство должно иметь позитивное влияние на воспроизводственный процесс, исключить негативные результаты вызванные действием стихийных сил. При этом, публичный бюджет должен быть важным рычагом государственного регулирования.

Основной задачей публичного бюджета любой страны заключается в обеспечении финансирования неотложенных программ государственного и социально-экономического развития на основании всестороннего поощрения предпринимательства. Поэтому, публичная бюджетная политика должна быть проведена по направлению, которая обеспечит увеличение дохода до такой степени, чтобы дать стране возможность финансировать большинство государственных расходов.

Ключевые слова: публичный, публичный бюджет, бюджетная система, публичная бюджетная политика, стабилизация, налоговая, экономическая эффективность, публичная финансовая политика, задолженность, дефицит бюджета.



PUBLIC BUDGETARY SYSTEM AND POLICY

LASHA MURJIKNELI (paternity ZURAB)

PhD student of GTU

E-mail: E_gogokhia@mail.ru

SUMMARY

Public budgetary process is a determinant and real characteristic indicator of the country's democracy. That is why it is necessary to make all stages of formation and transparency of public budgetary system publicly available. It is the reason why I think that it has stipulated recognition of the integral part of financial system with the name of "public budget" and its support.. To my viewpoint, public character is stipulated by type of property and scales of publicity.

If creation, distribution and use of budgetary monetary means depends on state monetary means, it is the property of a state, it has public character and presents public monetary means; and when creation, distribution and use of monetary means of local organizations take place, it presents monetary means of the property of local organizations and has no public character.

In general, it is necessary to elaborate and form such mechanisms of public budgetary system that will enable all sectors of a state to participate in administration and implementation of the public budgetary process.

Public budgetary policy is the system of important measures of rational administration of macroeconomic processes and its goal is to stimulate the growth and economic development of public budget incomes.

The important objective of public budgetary policy is to concentrate financial-budgetary resources of a state on priority directions of the country's economy. Public budgetary policy plays an important role for a country's economic and social development in the long-term period.

By means public budgetary policy a state must exert positive influence on reproduction processes, eliminate negative results caused by irresistible force of a market. In addition, public budget must be an important lever of state regulation.

The main objective of public budget of any country is to finance emergency programs of the state and social-economic development on the basis of support of entrepreneurship. That is why it is purposeful to administer public budgetary policy in the direction which will give to the country the opportunity to finance the most of state expenses.

Keywords: *Public, public budget, budgetary system, public budgetary policy, stabilization, tax, economic efficiency, public financial policy, debts, budget deficit.*